ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და საჯარო კონსულტაციების ანგარიში

დანართი II

სარჩევი

1. შესავალი 3
1.1. მეთოდოლოგია 3
1.1.1. დაინტერესებული მხარეების ანალიზი 4
1.1.2. დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის და საჯარო კონსულტაციისთვის შერჩეული მეთოდები 5
2. სექტორული კონსულტაციები 6
2.1. ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები 6
2.2. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობა 6
3. საჯარო კონსულტაციების შეხვედრები 8
3.1. ვებსაიტზე გამოქვეყნება და საჯარო კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება 8
დანართები 11
დანართი 1 - საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეთა სია 11
დანართი 2 - სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა 14
დანართი 3 - უწყებათაშორისი საბჭოს დეტალები და შემადგენლობა 17
დანართი 4 - საჯარო უწყებების სია, რომელთაც ოფიციალურად გაეგზავნათ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია უკუკავშირისა და ვალიდაციისთვის 18

1. შესავალი

ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დაეყრდნო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობა. ოფიციალური სტატისტიკის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფისთვის ეროვნული სტატისტიკის სისტემის განვითარების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა დაინტერესებული მხარეების სიღრმისეული ჩართულობით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტრატეგიული ამოცანების აქტივობების შესაბამისობის უზრუნველყოფა ერთი მხრივ ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების საჭიროებებთან და, მეორე მხრივ, სტატისტიკის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფის მიერ მაღალი ხარისხის სტატისტიკაზე მზარდ მოთხოვნასთან. დაინტერესებული მხარეების ანალიზის საფუძველზე შერჩეულმა ჩართულობის მეთოდების კომბინაციამ უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების მოლოდინების მართვა, სამოქმედო გეგმის რელევანტურობა და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან თავსებადობა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერსებული მხარეების მაღალი ჩართულობის შედეგად შეიქმნა გეგმის განხორციელების პროცესში ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველი, რაც ხელს შეუწყობს განხორციელების და მონიტორინგის ეფექტიანობას და ეფექტურობას.

წინამდებარე ანგარიში აღწერს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციების პროცესში გამოყენებულ მეთოდებს და ძირითად შედეგებს.

1.1. მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი ინკლუზიურად, საქართველოს სტატისტიკის სისტემის ყველა რგოლის მონაწილეობით წარიმართა. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესი ასახულია დიაგრამაზე 1.



დიაგრამა 1 დაინტერესებული მხარეების და საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესი

პირველ ეტაპზე განისაზღვრა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციების მიზნები. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების აქტიური მონაწილეობა. ასევე, პროცესი მიზნად ისახავდა სხვა დაინტერესებული მხარეების ჯგუფებთან თანამშრომლობას და კონსულტაციას.

შემდეგ ეტაპი დაეთმო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას, დაჯგუფებასა და ანალიზს.

1.1.1. დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დაინტერესებული მხარეების ანალიზისთვის გამოყენებული იქნა დაინტერესებული მხარეების გავლენის მატრიცა, რომელიც შემუშავდა ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის შემუშავების დროს. რადგან 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების გეგმას, დაინტერესებული მხარეების ანალიზისთვის გამოყენებულია იგივე მეთოდები და სტრუქტურა, ხოლო დაინტერესებული მხარეების გავლენის მატრიცა გადაიხედა და განახლდა.

ამასთან, პროცესის გამჭირვალობისა და ინკლუზიურობისთვის, განისაზღვრა მოქალაქეთა ჩართულობის მეთოდები სხვადასხვა ინტერაქციის ხარისხით, როგორიცაა ინფორმირება და ტრანზაქცია[1].

ანალიზის შედეგების მიხედვით პრიორიტეტულ ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მთავრობის ადმინისტრაცია და ძირითადი დარგობრივი სამინისტროები, მათ სისტემაში შემავალი სსიპ-ების ჩათვლით, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრებს.

დაბალი გავლენის, მაგრამ მაღალი ინტერესის მქონე ჯგუფებს წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული სტატისტიკის სიტემის განვითარებაში და, ამავდროულად, წარმოადგენენ ოფიციალური სტატისტიკის მომხმარებლების მნიშვნელოვან ჯგუფს. ასევე, ამ ჯგუფში შედიან ადმინისტრაციული ორგანოები (მუნიციპალიტეტები), რომლებიც სტატისტიკას იყენებენ ადგილობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე ქმნიან ანალიტიკურ და კვლევით პროდუქტებს, სამეცნიერო წრე, ანალიტიკური ცენტრები, კერძო სექტორი და ასოციაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალურ სტატისტიკას აქვეყნებენ (მაგალითად, ევროსტატი) ან იყენებენ საერთაშორისო ანალიზისთვის, რეიტინგებისთვის და ა.შ. (მაგალითად, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა).

დაბალი გავლენის და ინტერესის მქონე ჯგუფებს წარმოადგენენ მედია, და მოქალაქეები. აღნიშნული ჯგუფის ინფორმირება მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს მათი ინტერესების და საჭიროებების გამორიცხვა და დისკრიმინაცია ოფიციალური სტატისტიკის განვითარების დაგეგმვის დროს.

---

[1] **ინფორმირებაში** იგულისხმება, ძირითადად, ცალმხრივი პროცესი - როდესაც აუდიტორია სხვადასხვა საკითხზე ან პროცესზე ინფორმაციას იღებს, ხოლო უკუკავშირი, ფაქტობრივად, არ ხდება; **ტრანზაქციულ კონსულტირებაში** იგულისხმება ორმხრივი კომუნიკაცია - როდესაც აუდიტორია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საკუთარ მოსაზრებებს, შენიშვნებს, შეხედულებებს აწვდის, ხოლო გადაწყვეტილების მიმღები (მაკოორდინირებელი ორგანო) ამ ინფორმაციას აგროვებს; პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 11.

1.1.2. დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის და საჯარო კონსულტაციისთვის შერჩეული მეთოდები

ანალიზის შედეგად გამოვლინდა პრიორიტეტული ჯგუფები და, მათი ინტერესის და გავლენის გათვალისწინებით, შეირჩა შესაბამისი ჩართულობის მეთოდები (იხ. ცხრილი 1)

დაინტერესებული მხარეების ჯგუფები	**ჩართულობის მეთოდი**
1. საჯარო უწყებები – სტატისტიკის ეროვნული სისტემის წევრები (დიაგრამა 2-ზე ნახსენები დარგობრივი სამინისტროები, მათ სტრუქტურაში შემავალი სსიპ-ები და საქართველოს ეროვნული ბანკი)	1. სიღრმისეული ინტერვიუები. ჩატარდა ონლაინ ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. თითო კონსულტაცია გრძელდებოდა საშუალოდ 1-1.5 საათი. (იხილეთ სექცია 2.1)
	2. ელექტრონული კომუნიკაცია. სამუშაო ჯგუფის წევრებთან იგზავნებოდა სამუშაო დოკუმენტები ელექტრონული სახით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდებოდა დოკუმენტების განახლება და სამუშაო ჯგუფის წევრების ინფორმირება. სამუშაო ვერსიაზე მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების შემდეგ სამუშაო ჯგუფების ინფორმირება მოხდა მიღებული/გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.
2. საერთაშორისო ორგანიზაციები	1. სიღრმისეული ინტერვიუ. ძირითად დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.
3. დაინტერესებული მხარეების სხვა ჯგუფები	1. საჯარო შეხვედრა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდა საჯარო საკონსულტაცია: ანონსი საჯარო შეხვედრის შესახებ დაიდო მინიმუმ 2 კვირით ადრე და გავრცელდა საქსტატის ვებსაიტის და სოციალური მედიის (Facebook, Linkedin) მეშვეობით.
	2. უკუკავშირის ონლაინ ფორმა განთავსდა საქსტატის ვებსაიტზე სხვა სამუშაო დოკუმენტებთან ერთად. უკუკავშირის ფორმის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა საშუალება წერილობით გადმოეგზავნათ კომენტარები და შენიშვნები სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით.

ცხრილი 1 ჩართულობის მეთოდები

2. სექტორული კონსულტაციები

2.1. ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები

ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრები წარიმართა ონლაინ, სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატში. თითო შეხვედრას ესწრებოდნენ შესაბამისი უწყებების სხვადასხვა სამმართველოს და სამსახურის წარმომადგენლები, რამაც უზრუნველყო საკითხების სიღრმისეული განხილვა. შეხვედრისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ძირითადი დრო დაეთმო დისკუსიას, რათა მონაწილეებს საშუალება ჰქონოდათ სრულად წარმოედგინათ საკუთარი შეხედულებები და საჭიროებები ოფიციალური სტატისტიკის განვითარებასთან მიმართებით.

შეხვედრებზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: უწყებების საჭიროებები ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის მხრივ, უწყებების გეგმები ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, მიმდინარე პოლიტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცესში საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და ხარისხი და სხვ.

ჯამში ჩატარდა შეხვედრა 17 საჯარო უწყებასთან, ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრებთან. შეხვედრებში საჯარო სექტორის 47-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა (იხ. დანართი 1). აღნიშნულ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური შეხვედრები საქსტატის დეპარტამენტებთან და მენეჯმენტთან, სადაც განიხილებოდა ოფიციალური სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტები, გეგმები, გამოწვევები და საჭიროებები.

დამატებით ჩატარდა შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (იხ. დანართი 1).

ჩატარებული შეხვედრები წარმოადგენდა სამოქმედო გემისთვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს. განხილული იყო ბევრი საკითხი, თუმცა მთავარი მიგნებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგი თემების მიხედვით:

- საჭიროა დამატებითი მაჩვენებლების წარმოება კონკრეტულ სექტორებში სტრატეგიების დაგეგმვისა და მონიტორინგის მხარდასაჭერად, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად;
- ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი კატეგორიებისთვის საჭიროა სქესის, რეგიონის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები;
- დარგობრივი სამინისტროები და წამყვანი სსიპ-ები საჭიროებენ მონაცემთა მხარდაჭერას საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშგების მოთხოვნების (მაგ. მაღალი დონის ოფიციალური კითხვარების) შესრულებისთვის.

2.2. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობა

ძირითადი დაინტერესებული მხარეების აქტიური და ნაყოფიერი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უწყებათაშორისი საბჭოს მიერ შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები გახდნენ რელევანტური უწყებების წარმომადგენლები. წარმომადგენლები

და ჯგუფის სტრუქტურა შეიქმნა იმგვარად, რომ პროცესში ჩართული ყოფილიყო ეროვნული სტატისტიკის სისტემის ყველა ძირითადი წევრი. სამუშაო ჯგუფის ჩართულობა მიზნად ისახავდა პროცესში მათი ინტერაქციულობის მაქსიმალური დონის მიღწევა-ტრანსფორმირებას[2]. ამგვარად, სამუშაო ჯგუფის წევრები გახდნენ სამოქმედო გეგმის თანაავტორები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების რელევანტურობას და ქმნის ძლიერ საფუძველს სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტიანობის და ძლიერი უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საკონსულტაციო პროცესში და ასევე სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვასა და განახლებაში.

მიღებული უკუკავშირი	**გათვალისწინების ხარისხი**
ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთ ინიციატივა სტატისტიკის განვითარების მიმართულებით: საქართველოს შრომის ბაზარზე, შრომის ანაზღაურების მაღალი, დაბალი და საშუალო/მედიანა მაჩვენებელი, შემდეგი კატეგორიების მიხედვით: • პროფესიების მიხედვით; • იერარქიის მიხედვით (მენეჯერი, სპეციალისტი , და მწყები სპეციალისტი); • სექტორების მიხედვით (საჯარო, კერძო, საერთაშორისო). *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*	არ არის გათვალისწინებული. არგუმენტირებული პასუხი გაეგზავნა სამინისტროს, ასევე ამ დროისთვის არსებული/ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაცია.
ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) და სხვა ინდიკატორების ჩამონათვალი რომელიც მნიშვნელოვანია კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის საქმიანობისთვის. *ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო*	არგუმენტირებული პასუხი გაეგზავნა სამინისტროს, ასევე ინფორმაცია მოწოდებული სიიდან იმ ინდიკატორების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ან საქსტატის ვებსაიტზე ან მოთხოვნის საფუძველზე.
მოწოდებულია იმ ინდიკატორების ჩამონათვალი, რომელთა წარმოება მნიშვნელოვანია სამინისტროს საქმიანობისთვის და უნდა იყოს გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაში. *საქართველოს კულტურის სამინისტრო*	გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის აქტივობებში 1.1.11 და 1.1.24
მიგრაციის სტატისტიკის მიმართულების დამატებითი ინდიკატორების წარმოების დამატება სამოქმედო გეგმაში. *მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია*	გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის აქტივობაში 1.1.11

ცხრილი 2 მიღებული უკუკავშირი

[2] **ტრანსფორმირება** ორმხრივი კომუნიკაციის უმაღლესი დონეა, სადაც უწყებასა და აუდიტორიას შორის კონსულტაციების დროს მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა კი არ ხდება, არამედ მიმდინარეობს მსჯელობა, დისკუსია, სიღრმისეული ანალიზი, დეტალური განხილვა და გადაწყვეტილებები ერთობლივი ძალისხმევით მიიღება. პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 11.

3. საჯარო კონსულტაციების შეხვედრები

საჯარო კონსულტაციის მიზნების გათვალისწინებით, დაიგეგმა საჯარო კონსულტაცია სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვის ეტაპზე. პირველ რიგში საქსტატის ვებსაიტზე, საჯარო კონსულტაციისთვის შექმნილ სექციაში აიტვირთა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. ამასთან ერთად, შეიქმნა ონლაინ უკუკავშირის ფორმა „Google Forms“ პლატფორმის გამოყენებით. საქსტატის ვებსაიტზე და სოციალურ მედიაში მის ოფიციალურ გვერდებზე განთავსდა ინფორმაცია და ბმულები ატვირთულ დოკუმენტაციასთან, ონლაინ უკუკავშირის ფორმასთან და დაანონსდა ონლაინ საჯარო კონსულტაცია. დოკუმენტების ატვირთვიდან საჯარო კონსულტაციამდე გათვალისწინებული იყო ორკვირიანი შუალედი.

დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ უკუკავშირის გაზიარება როგორც ონლაინ შეხვედრის დისკუსიის ნაწილში, ასევე – წერილობით, საქსტატის ვებსაიტზე საჯარო კონსულტაციისთვის შექმნილ სექციაში ელექტორნული ფორმის მეშვეობით. თუმცა, საჯარო კონსულტაციის პროცესში წერილობითი უკუკავშირი საქსტატს არ მიუღია. დამატებით, დაიგეგმა ონლაინ შეხვედრა 2025 წლის 15 დეკემბერს. წინასწარი რეგისტრაცია გავლილი ჰქონდა ერთ მონაწილეს, თუმცა შეხვედრას არ დაესწრო. 15-წუთიანი ლოდინის შემდეგ შეხვედრა დაიხურა.

3.1. ვებსაიტზე გამოქვეყნება და საჯარო კონსულტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება

საჯარო კონსულტაციების შესახებ საჯარო განცხადება განთავსდა 2025 წლის 1 დეკემბერს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით:

- საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე):







სურათი 1 საქსტატის ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია

- სხვადასხვა სოციალურ ქსელში საქსტატის ოფიციალურ გვერდებზე:

  - ფეისბუქი (Facebook) (ქართულ ენაზე)

სურათი 2 ფეისბუქზე საქსტატის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- ლინკდინი (Linkedin) (ინგლისურ ენაზე) / პლატფორმა X (ინგლისურ ენაზე).



სურათი 3 ლინკდინზე საქსტატის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

სურათი 4 პლატფორმა X- ზე განთავსებული ინფორმაცია

საჯარო კონსულტაციის შეხვედრაზე დასწრებისგან დამოუკიდებლად, ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება სპეციალური კითხვარის მეშვეობით, რომლის ბმული თანდართული იყო საჯარო განცხადებაში. პროცესის შესახებ ინფორმაცია ბევრი სხვადასხვა არხით იყო გავრცელებული, თუმცა ონლაინ საჯარო კონსულტაციას არავინ დაესწრო. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სამუშაო ჯგუფის წევრებისგან მიღებული უკუკავშირის გარდა, სხვა კომენტარები არ ყოფილა მიღებული.

დანართები

დანართი 1 - საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეთა სია

საჯარო უწყებები

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამმართველო და ა.შ.)
1	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
2	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
3	სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მონაცემთა ანალიზისა და წარდგენის სამმართველო, სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი
4	საქართველოს სპორტის სამინისტრო	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
5	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკის სამსახური
6	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკის სამსახური
7	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საერთაშორისო თანამშრომლობისა და სტარტეგიული განვითარების დეპარტამენტი
8	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	მეცნიერების დეპარტამენტი
9	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	პროფესიული განათლების დეპარტამენტი
10	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	პროფესიული განათლების დეპარტამენტი
11	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი
12	საქართველოს კულტურის სამინისტრო	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
13	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტი
14	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტი
15	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“
16	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამმართველო და ა.შ.)
17	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტი
18	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის, ინფრასტრუქტურული პროექტების ანალიზის, მართვისა და კოორდინაციის სამმართველო
19	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი
20	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	ევროინტეგრაციის დეპარტამენტი
21	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამმართველო
22	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეული
23	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეული
24	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	-
25	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი
26	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველო
27	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პოლიტიკის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
28	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
29	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მდგრადი განვითრების დეპარტამენტი
30	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი
31	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ენერგეტიკული რეფორმების დეპარტამენტი
32	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი
33	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი
34	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
35	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სამინისტროს წარმომადგენელი
36	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სამინისტროს წარმომადგენელი
37	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტი

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამმართველო და ა.შ.)
38	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამმართველო
39	სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტმანეტი
40	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველო
41	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო"
42	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი
43	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი
44	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი
45	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	თავმჯომარის მოადგილე
46	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მონაცემთა მართვის დეპარტამენტი
47	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სტატისტიკის სამსახური

დონორები და სხვა პარტნიორები

#	ორგანიზაცია	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამსახური და ა.შ.) / თანამდებობა
1	გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)	კვლევის ანალიტიკოსი
2	გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)	კვლევის ანალიტიკოსი

დანართი 2 - სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა[3]

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამსახური, ა.შ) / თანამდებობა	სახელი, გვარი
1	საქართველოს ეროვნული ბანკი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი	ირმა ბარბაქაძე
2	საქართველოს ეროვნული ბანკი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი	მანანა ბაყაშვილი
3	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი	სიმონ ედიშერაშვილი
4	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	ზურაბ თოლორდავა
5	სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი	ელგუჯა ლოლიაშვილი
6	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	ცისნამი საბაძე
7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი	გიორგი გამყრელიძე
8	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილე	ელისო გელაშვილი
9	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომელი	ანი საბაშვილი
10	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი	გიორგი ლომთაძე
11	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ირინე კვაჭანტირაძე
12	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი	დავით დადიანი
13	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	ელზა ჯაფოშვილი

[3] გარდა ამ დანართში ჩამოთვლილი უწყებების წარმომადგენლებისა, სამუშაო ჯგუფის წევრები არიან საქსტატის საშუალო რგოლის ხელმძღვანელები.

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამსახური, ა.შ) / თანამდებობა	სახელი, გვარი
14	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსი /სამმართველოს უფროსი	სოფიო ძულიაშვილი
15	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსის მოადგილე/სამმართველოს უფროსის მოადგილე	მარიკა გახოკია
16	საქართველოს სპორტის სამინისტრო	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	ზურაბ ბაქრაძე
17	საქართველოს კულტურის სამინისტრო	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	ქეთევან გოგელაშვილი
18	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საერთაშორისო თანამშრომლობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვისა და ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი	სალომე შაქარიშვილი
19	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ნინო კულატამიშვილი
20	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	მაია ჯავახიშვილი
21	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი	ნინო ფურცხვანიძე
22	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის, ინფრასტრუქტურული პროექტების ანალიზის, მართვისა და კოორდინაციის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მეგი არჩვაძე
23	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი	სალომე ქაჯაია

#	უწყება	სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამსახური, ა.შ) / თანამდებობა	სახელი, გვარი
24	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	ქეთევან გოგინაშვილი
25	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი	სალომე ქაჯაია
26	სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	მარინა შახნაზაროვა

დანართი 3 - უწყებათაშორისი საბჭოს დეტალები და შემადგენლობა

#	უწყება	თანამდებობა
1	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	აღმასრულებელი დირექტორი
2	საქართველოს ეროვნული ბანკი	პირველი ვიცე-პრეზიდენტი
3	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მინისტრის პირველი მოადგილე
4	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
5	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
7	საქართველოს კულტურის სამინისტრო	მინისტრის პირველი მოადგილე
8	საქართველოს სპორტის სამინისტრო	მინისტრის პირველი მოადგილე
9	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
10	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
11	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
12	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
13	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მინისტრის მოადგილე
14	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	უფროსის მოადგილე

დანართი 4 - საჯარო უწყებების სია, რომელთაც ოფიციალურად გაეგზავნათ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია უკუკავშირისა და ვალიდაციისთვის

1. საქართველოს ეროვნული ბანკი
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
6. საქართველოს კულტურის სამინისტრო
7. საქართველოს სპორტის სამინისტრო
8. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
10. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
11. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო